როდნინა—ულანოვი, ვუდი...

ლიუბლიანა, 5 მარტი. ადგილობრივი ტივოლის სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე გუშინ წყვილთა სრიალის ოსტატები ეცილებოდნენ ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონთა ტიტულს. საუცხოოდ გამოვიდნენ საბჭოთა დუეტები, რომლებმაც აღტაცებაში მოიყვანეს მრავალრიცხოვანი მაყურებელი და გამარჯვებულთა კვარცხლბეკის პირველი და მეორე საფეხურები დაიკავეს. მსოფლიო ჩემპიონთა წოდება შეინარჩუნეს მოსკოველებმა ი. როდნინამ და ა. ულანოვმა, რომლებმაც 418,6 ქულა დაგროვეს (ადგილების ჯამი — 11), ხოლო ვერცხლის მედლების მფლობელნი გახდნენ მეჯიბრების დებიუტანტები — ლენინგრადელები ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი — 416,5 ქულა (ადგილების ჯამი — 16).

საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე დადგნენ ჰ. ვალტერ-შტაინერი და ჰ.-უ. ვალტერი — 410,2 (27).

მესამე საბჭოთა წყვილმა (მოსკოველები გ. კარელინა და გ. პროსკურინი) IV ადგილი დაიკავა — 405,4 (36,5).

დღეს საღამოს სარბიელი ვაჟებს დაეთმო. ოქროსთვის ბრძოლა უმთავრესად სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურებულებს — ო. ნეპელას (ჩეხოსლოვაკია), ტ. ვუდსა (აშშ) და გ. ცოლერს (გდრ) შორის გაჩაღდა. ნეპელამ ამჯერადაც მეტისმეტად დახვეწილი ოსტატობა გამოავლინა, მაღალი შეფასებებიც დაიმსახურა, მაგრამ ამერიკელმა ვუდმა ბრწყინვალე გამოსვლით ჩეხოსლოვაკიელი II ადგილზე გადასწია. ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვუდმა შეინარჩუნა. ვერცხლის მედალი ეჯგო ევროპის ჩემპიონს ნეპელას, ხოლო ბრინჯაოსი — საუცხოოდ მოასპარეზე ცოლერს.

IV ადგილი დაიკავა საფრანგეთის წარმომადგენელმა ჰ. ჰერამ, V — ამერიკელმა პეტკევიჩმა.

მოსკოველმა ს. ჩეტვერუხინმა კარგად შეასრულა ნებისმიერი პროგრამა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ VI ადგილი დაიკავა. VII ადგილზეა მისი თანაგუნდელი ს. ვოლკოვი.

• • •

სურათებზე: ზევით — **ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი ასპარეზობისას;** ქვევით — **ტ. ვუდი** (მარჯვნივ) **და ო. ნეპელა.**

ფოტოსურათები **ა. იაკოვლევისა** (საკდესი) **და ეურნალ „სტადიონისა"** (ჩეხოსლოვაკია).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სკმ

№ 46 (4040)

7

1970 წ. მარტი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საშინაო ღონისძიებები... ფიზკულტურაში

მოსწავლეებს ყველა საგანში ეძლევათ საშინაო დავალება, ფიზკულტურაში კი არა. რატომ? დაინტერესდნენ ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტები.

წელიწადნახევრის მანძილზე ყოველმხრივ აკვირდებოდნენ ხუთასამდე უმცროსი ასაკის მოსწავლის განვითარებას. მათთვის შემოიღეს კლასგარეშე მეცადინეობა ფიზკულტურაში საშინაო დავალებების სახით და შეიმუშავეს ვარჯიშების სისტემა, რომელსაც ბავშვები გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში ასრულებდნენ. ამოწმებდნენ მოსწავლეთა ძალისმიერ თვისებებსა და სისწრაფეს, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას, დაღლილობის დონეს. ფიზკულტურული მომზადების ახალი სისტემა დაინერგა მასწავლებლებთან, სკოლის ხლოებით სამჯერ გაიზარდა. კარგად განვითარებულ მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 20 პროცენტით.

ექსპერიმენტულ კლასებში რეგისტრირებულია ზედა სასუნთქი გზების დაავადებათა ერთნახევარჯერ ნაკლები რიცხვი, ვიდრე მაღალ კლასებში. ამაღლდა ბავშვების შრომისუნარიანობა და აკადემიური მოსწრება.

გადაწყვიტეს, რომ მიზანშეწონილია შემოიღონ კვირაში კიდევ ერთი ფიზკულტურის გაკვეთილი, სპორტული წრეების მუშაობა უფრო მასობრივი გახდეს.

ყველა ეს დასკვნა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ორგანოების, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას იმსახურებს.

გ. მაგალნიკი.
(საკდესის კორ.).

ხარკოვი.



„სტროიტელი" (კიევი)—„ბურევესტნიკი" (თბილისი) 52:47 (30:26)

პირველი წრე — 85:48 „სტროიტელის" სასარგებლოდ

ძალები აშკარად უთანაბრო გლურჯიძემ ჯერ „გოლიათთა" გარეშოცვას უნდა დაადწიოს თავი და მხოლოდ ამის შემდეგ სცადოს კალთის აღება. ამოცანა რთულია, მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ტექნიკური თბილისელი ხშირად უფრო ძნელი სიტუაციიდანაც გამოსულა გამარჯვებული. პირველ მეტოქეს მან უკვე აუარა გვერდი, თუმცა კიეველი დაუშვებელი ხერხით ცდილობს გლურჯიძის შეკავებას. ახლა წინ მხოლოდ პოლივოდაა დარჩენილი. მოდი და მასაც გაექეცი, თუ ბიჭი ბარ!

•

(კალათბურთელ ვაჟთა სკკავშირო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-2 გვ.).

ექიმებთან და მშობლებთან შეთანხმების შემდეგ.

კომპლექსში შედიოდა დილის სავალდებულო ტანვარჯიში, დღის რეჟიმის მკაცრი დაცვა, ფიზკულტურული ვარჯიშები, პაუზები, სეირნობა,

გამოკვლევის შემდეგ კვლავ ჩაატარეს ღრმა მეცნიერული დათვალიერება. აღმოჩნდა, რომ იმ ბავშვების რიცხვი, რომელთაც ფილტვების ნორმალური და უფრო მაღალი ტევადობა აქვთ, დაა-

იუნიორთა მიღწევები

ლენინგრადი, 4 მარტი. სტუდენტმა ბ. იზმესტიევმა (მოსკოვის ოლქი) და ლიტველმა სპორტსმენმა რ. აუკშტუოლისმა. იუნიორთა საკავშირო შეჯიბრებაში განაახლეს ქვეყნის უმაღლესი მიღწევა 100 მეტრზე რბენაში დახურული სტადიონებისთვის. მათ ერთაირი შედეგი (10,4) აჩვენეს. ეს წამის მეათედით სჯობს უკრაინელი სპრინტერის, ევროპის ჩემპიონ ვ. ბორზოვის ძველ მიღწევას.

ცხრილში შესწორება შეიტანა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ნ. კაზაჩკოვამაც, რომელმაც 800 მ 2 წუთსა და 11 წამში გაირბინა. ეს 0,5 წამით სჯობს ლენინგრადელი ვ. კლიუჩნიკოვას მიღწევას. ამ უკანასკნელის შედეგს აჯობა უკრაინელმა სპორტსმენმა ლ. სოროკამაც — 2.11,4.

იუნიორთა კიდევ ერთი უმაღლესი მიღწევა გაუმჯობესა ლენინგრადელმა დ. სტუკალოვმა. 400-მეტრიანი დისტანცია მან 49,6 წამში გაირბინა — 0,2 წამით აჯობა ძველ რეკორდს.

400 მეტრზე რბენაში მაღალი შედეგი აჩვენა ვორონეჟელმა სტუდენტმა გ. კამარდინამ. მან ამ დისტანციაზე სულ მეორედ აიღო სტარტი (საერთოდ ხუთჯიდში გამოდის) და ფინიშთან 56,6 წამის შემდეგ მივიდა.

(საკდესი).

სამი მსოფლიო ჩემპიონი

მიასი, 5 მარტი. რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის სპარტაკიადაში დიდი წარმატება მოიპოვა ლენინგრადელმა ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ნ. შებალინამ. მიასის ოქროს ველზე გაწოლილი 5-კილომეტრიანი სათხილამურო ტრასა მისთვის მართლაც ოქროსი აღმოჩნდა: შებალინამ დღის საუკეთესო შედეგი აჩვენა და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა — 18.24. ეს მისი მეორე მედალია: 10 კილომეტრზე რბოლაში ლენინგრადელს ბრინჯაოს ჯილდო ხვდა.

ვერცხლის მეორე მედალი მოიპოვა ასევე ლენინგრადის წარმომადგენელმა ნ. ფიოდოროვამ (18.41).

ბრინჯაო დაისაკუთრა ჩემპიონმა 10-კილომეტრიან დისტანციაზე, მოსკოველმა ა. კოლჩინამ — 18.56.

მოსკოვის მოთხილამურეებმა, რომელთა გუნდშიც 4-დან სამი მსოფლიო ჩემპიონია, დღეს — მოიგეს ესტაფეტა 4×10 კილომეტრზე. ვ. ვორონკოვის, ფ. სიმაშოვის, ვ. ვედენინის და ა. აკენტიევის შედეგია 2:15.20. ვორონკოვმა აჩვენა ეტაპზე საუკეთესო შედეგი — 32.38.

ვერცხლის მედლები მოიპოვეს კემეროვოს ოლქის მოთხილამურეებმა დ. იარლიკოვმა, ა. კონკოვმა, ნ. ტერეგოვამა და ვ. ხალიაპინმა — 2:18.15. ბრინჯაო ხვდათ ესტონელ სპორტსმენებს, რომლებიც კემეროვოელებს 20 წამით ჩამორჩნენ. ესენი არიან ვ. ზელენკოვი, ტ. და ხ. კინკსები და ა. როონეტი.

ა. ფილიპონენკო.
(საკდესის კორ.).

ასპირანტის ოქროს მედალი

მიასი, 5 მარტი. ბიატლონში რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ნოვოსიბირსკელი ასპირანტი, მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში ვ. მამატოვი, რომელმაც სროლით 20 კმ-ზე სათხილამურო რბოლაში 1:22.31 (2 საჯარიმო წუთი) აჩვენა. გამარჯვებულს 4 წამით ჩამორჩა ლენინგრადელი რ. საფინი, რომელსაც 4 საჯარიმო წუთი დაერიცხა. III ადგილზე გავიდა ოლიმპიური ჩემპიონი ა. ტიხონოვი (ნოვოსიბირსკი) — 1:23.36 (5).

20 45

◆ **მიასი** (ჩელიაბინსკის ოლქი), **6 მარტი.** რუსეთის ფედერაციის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადაში მოასპარეზე მოსკოვის გუნდმა 4×5 კილომეტრზე სათხილამურო რბოლა მოიგო. გ. ბილიუშენკომ, რ. აჩკინამ, ა. კოლჩინამ და ლ. მენშიკოვამ ეს მანძილი 1 საათში, 16 წუთსა და 53 წამში დაფარეს. ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს ესტონეთის წარმომადგენლებმა, ბრინჯაოს მედლები — ლენინგრადელებმა. დღის საუკეთესო დრო ეტაპზე ლენინგრადელ ნ. შებალინას ჰქონდა — 18.26. ესტაფეტაში 20 გუნდი მონაწილეობდა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

თორმეტი გულწათხრობილი მამაკაცი

თბილისის სპორტის სასახლეში ცხოვრება დუღს და გადადუღს. ხუმრობა საქმეა? — დღეში ექვსი მატჩი, ექვსი საინტერესო და მძაფრი ორთაბრძოლა, ზოგისთვის გამარჯვებისა და და სიხარულის მომტანი, ზოგისთვის გულდასაწყვეტი, მაგრამ ემოციურად უხვი და სრულყოფილი. თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმო ატმოსფეროა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თორმეტ გულჩათხრობილ მამაკაცს, რომლებიც თითქოს გარიყული არიან ამ ხმაურიანი სამყაროსგან და თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ.

ჩვენ რამდენიმეჯერ ვცადეთ მათთან კონტაქტის დამყარება, მაგრამ ამაოდ. ზრდილობიანი ხალხია და პირდაპირ არ გვეუბნებიან უარს, მაგრამ ძალიან მშრალი და ზოგადი პასუხებიდან, რომლებსაც მოკრძალებულ შეკითხვებზე ვიღებთ, ცხადი ხდება, რომ თორმეტივე გულჩათხრობილი მამაკაცი ტაქტიანად გვიშორებს თავიდან.

ეს მათი ნებაა და ამისთვის ოდნავადაც ვერ გავამტყუნებთ. ჟურნალისტებს წვრილ საღრღილი აქვთ აწილილი, მწვრთნელები კი იმის ფიქრში არიან, როგორ ითამაშონ უკეთ, როგორ დააღწიონ თავი ამა თუ იმ სიძნელეს და როგორმე პირნათლად წარსდგნენ თავიანთი გულშემატკივრების წინაშე. რას იზამ, კანონიერი სურვილია, რომელსაც ვერაგვითარი ლოგიკა ვერ აღუდგება წინ.

თბილისში ჩამოსული არიან სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებიც — ა. გომელსკი და ი. ოზეროვი. მათი მისია გაცილებით პასუხსაგებია, ვიდრე რიგითი მწვრთნელებისა, რომლებიც მეტწილად საუწყებო ინტერესებით არიან დაკავებული. გომელსკი და ოზეროვი ნაკრების კანდიდატებს არჩევენ. მაგრამ, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონატამდე ორ თვეზე მეტია დარჩენილი, კანდიდატები კი საკმაოდ კარგად გამოიყურებიან, მწვრთნელები ხალისით ამყარებენ კონტაქტს ჟურნალისტებთან.

რა შეიძლება ჰკითხოს კაცმა მწვრთნელს, რომელიც ნაკრებს ამზადებს? ცხადია, პირველ ყოვლისა ის, თუ ვინ დაიკავებს ჩვენი ქვეყნის ღირსებას მსოფლიო ჩემპიონატში. ნაკრების შემადგენლობაში დღეისთვის 6 ქალაქისა და 8 გუნდის წარგზავნილი 18 კალათბურთელია. ყველაზე უხვად გუნდში მოსკოვია წარმოდგენილი (3 კალათბურთელი ცსკა-დან, 3 — „დინამოდან"), შემდეგ — კიევი (3 მოთამაშე „სტროიტელიდან", 2 — ასკ-დან), ტალინი (3 კალათბურთელი), თბილისი (2), ლენინგრადი და კაუნასი (თითო). აი, ნაკრების კანდიდატთა სია: ანდრეევი, სიდიაკინი, ს. ბელოვი (სამივე — ცსკა), ბალაშოვი, ზასტუხოვი, სოლოგუბი (სამივე — მოსკოვის „დინამო"), კოვალენკო, პოლივოდა, ვალტინი (სამივე — კიევის „სტროიტელი"), კრიკუნი, ტომსონი, ტამისტე (სამივე—ტარტუს „კალევი"), პოგულაიი, სოლუხინი (ორივე — კიევის ასკ), საკანდელიძე, ჭორქია (ორივე — თბილისის „დინამო"), პაულაუსკასი (კაუნასის „უალგირისი") და ა. ბელოვი (ლენინგრადის „სპარტაკი").

ჩვენი ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობა ასე თუ ისე დაკმაყოფილდა, რისთვისაც მადლობას ვწირავთ ნაკრების მწვრთნელებს და ვუბრუნდებით გულჩათხრობილ მამაკაცთა უფრო მიწიერ საქმიანობას.

ჩემპიონატის მესამე კალენდარულ დღეს ორი საინტერესო მატჩი გაიმართა. ეს იყო, ჯერ ერთი, „სპარტაკისა" და ცსკა-ს ორთაბრძოლა და მეორეც, თბილისის „დინამოსა" და ტარტუს „კალევის" უაღრესად პრინციპული დავა.

ჯერ რამდენიმე სიტყვა პირველზე. ცსკა-მ შეხვედრა 8 ქულით მოიგო. შედეგი შესაძლოა სხვაგვარიც ყოფილიყო, სადღაც, მეორე ხასევრის მიწურულს ლენინგრადელთათვის ნებისყოფას რომ არ ეღალატა. ტაიმი ნეგისპირელმა კალათბურთელებმა მოიგეს და კანონიერადაც. ისინი პირველ 20 წუთში უკეთ გამოიყურებოდნენ.

ჯუჯუნ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები: „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 58:91 (23:40), „კალევი" (ტარტუ) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 91:83 (51:39), ასკ (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი) 75:78 (38:35), ცსკა — „უალგირისი" (კაუნასი) 98:59 (56:32), ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 71:64 (35:21).

კიევის „სტროიტელისა" და თბილისის „დინამოს" შეხვედრა გვიან საღამოს დამთავრდა.

დღეს

გაიმართება შემდეგი მატჩები: 10 ს. „ლოკომოტივი"—„სტროიტელი", 11.45. „უალგირისი" —„ურალმაში", 15.00. „სპარტაკი" — ასკ (კიევი), 16.45. „დინამო" (მოსკოვი) — „კალევი", 18.30. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — ცსკა, 20.15. „დინამო" (თბილისი) — ასკ (რიგა).

„დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ) 87:86 (38:34, 76:76).

პირველი წრე — 86:80 „კალევის" სასარგებლოდ



უგრეხელიძის წინააღმდეგ თამაში ჯერ იმიტომაა ძნელი, რომ იგი ჩინებულად ისვრის კალათში და საოცრად მაღალი ნახტომი აქვს. ახლო მეტოქესთან წარმატებით ბრძოლა მხოლოდ მსგავსი თვისებების მქონე კალათბურთელს შეუძლია. ლიპსო ხშირად აკონტროლებდა უგრეხელიძის მოქმედებას, ცდილობდა მხედველობის არეში ყოლოდა იგი და საჭიროების შემთხვევაში დროზე დახმარებოდა პარტნიორებს. ხშირად იგი ამის გამო უსიამოვნო სიტუაციაშიც მოხვედრილა.

სურათზე: საგანგებო შემთხვევა, რომელიც ამჯერად კეთილად დასრულდა — მარცხნივ — ლიპსო, მარჯვნივ — უგრეხელიძე.

● ●

„დინამო" (მოსკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 104:82 (52:36)

პირველი წრე — 97:94 „დინამოს" სასარგებლოდ



საჯარიმო სვერდლოვსკელთა კალათში. ბურთის ტრაექტორიას თვალს ადევნებენ მოსკოვის დინამოელი სოკოლოვი და ურალელთა კაპიტანი კანდელი (მარჯვნივ), რომელიც დღეისთვის ჩვენი კალათბურთის ერთ-ერთი უველაზე შედეგიანი მოთამაშეა. კანდელს კალათის საოცარი ალლო აქვს: 16 მატჩში კანდელმა თავის კოლექტივს 317 ქულა მოუტანა.

ცსკა — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 75:67 (31:34)

პირველი წრე — 81:68 ცსკა-ს სასარგებლოდ



ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა თავგამოდებით იბრძვის. მაგრამ განსაკუთრებით მონდომებული არინ გუნდები, რომლებსაც, ამავე დროს, სპრინტზო ადგილებზე გასვლის რეალური შანსი აქვთ. „სპარტაკი" ამ დღეს იხევე ახლოს იყო გამარჯვებასთან, როგორც ცსკა. ბოლოს და ბოლოს, არმიელებმა იმძლავრეს...

სურათზე: ილიუკმა (ცსკა) დრიბლინგით ჩამოიტოვა ფიოდოროვი.

ასკ (კიევი) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 65:62 (34:29)

პირველი წრე — 76:69 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ

რევანში შედგა. კიევის კალათბურთელებმა, როგორც იქნა, თავი დააღწიეს შოკს და თბილისში პირველი დამარცხების შემდეგ ზედიზედ 2 ქულა აიღეს. კონკრეტულად რა გარდატეხა მოხდა არმიელთა რიგებში, ძნელი გასარკვევია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ გუნდი ერთგვარი აღმავლობის გზას დაადგა.

სურათზე: არმიელი ნოვიკოვი საჯარიმო ხროლისთვის ემზადება. აქვეა მატჩის არბიტრი — თბილისელი რ. ხომერიკი.

„უალგირისი" (კაუნასი) — ასკ (რიგა) 79:71 (42:29)

პირველი წრე — 86:63 „უალგირისის" სასარგებლოდ



მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილში მეტოქეები სხვადასხვა პოლუსზე არიან, ბრძოლა უაღრესად მძაფრი და შეუპოვარი იყო. „უალგირისი" იბრძვის ერთ-ერთი საპრიზო ადგილისთვის, რიგის არმიელთა კოლექტივი კი მხოლოდ იმისთვის, რომ გაისადაც ჰქონდეს ადგილი დიდი ხაკალათბურთო მზის ქვეშ.

სურათზე: არმიელი გ. მუიუნიეკსის (მარცხნივ) და ბუდნიკასის ბრძოლას მშვიდად უთვალთვალებენ ლატვიელი ეგლიტისი და ფრეიმანისი.

ფოტოსურათები ა. კოტორაშვილისა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	18	16	2	1501—1258	16
„უალგირისი" (კაუნასი)	19	15	4	1523—1426	15
„სტროიტელი" (კიევი)	19	14	5	1504—1347	14
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	19	13	6	1441—1328	13
„კალევი" (ტარტუ)	19	12	7	1582—1497	12
„დინამო" (თბილისი)	19	11	8	1471—1504	11
„დინამო" (მოსკოვი)	18	9	9	1497—1455	9
ასკ (კიევი)	19	7	12	1383—1398	7
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	19	6	13	1387—1546	6
ასკ (რიგა)	19	4	15	1349—1502	4
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	19	3	16	1422—1618	3
„ლოკომოტივი" (ალმა-ათა)	19	3	16	1358—1545	3

●

ნ. გუგუშვილი.

საზღვარგარეთული პრესა ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა ფეხბურთელების გამოსვლებს. გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა მათი პორტრეტები და მატჩების მომენტები. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ მექსიკის გაზეთები. აი, სპორტული გაზეთის პირველი გვერდი, სადაც დაბეჭდილია საბჭოთა და მექსიკელი ფეხბურთელების შეხვედრის მომენტი.

მეორე სურათზე თქვენ ხედავთ მ. ხურცილავას, რომელიც მინდორზე შემოუძღვა საბჭოთა გუნდს მექსიკელებთან შეხვედრის წინ.

ქართული ბიბლიოთეკა

ბრაზილიელები ვერ დაიბრუნებენ...

10 მატჩი — 5 გამარჯვება, 3 ფრე, 2 წაგება (იუგოსლავიის „ჰაიდუკთან“ და ბრაზილიის „ბოტაფოგოსთან“) — აი, იუგოსლავიაში, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში ხსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მოგზაურობის შედეგი. 4 მარტს გუნდი სამშობლოში დაბრუნდა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის ცნობილია, რომ ნაკრებში გამოდიოდა თბილისის „დინამოს“ 4 ფეხბურთელი — რ. ძოძუაშვილი, მ. ხურცილავა, კ. ასათიანი და გ. ნოდია. ჩვენ შევხვდით მ. ხურცილავას, როცა იგი ის-ის იყო მოსკოვიდან თბილისს ჩამოფრინდა და მეორე დღესვე ლესელიძეში გაემგზავრა, სადაც მისი მშობლიური გუნდი საწვრთნელ შეკრებაზეა.

— ძალიან მეჩქარება ჩვენი ბიჭების ნახვა, — გვითხრა მურთაზმა და მაინც სიამოვნებით დაგვთანხმდა გაეზიარებინა ჩვენთვის ტურნეს შთაბეჭდილებანი.

პირველი კითხვა, რომელიც სახელოვან ფეხბურთელს დავუსვით, ასეთი იყო: ხომ არ გამოჩენილან ამ ტურნეს დროს „ფეხებზე მონადირე“ სპორტსმენები და ძველმა ტრავმამ ხომ არ გაგიხსენათ-მეთქი?

„მონადირენი“ იყვნენ, განსაკუთრებით, ოკეანის გაღმა, მაგრამ ამჯერად უნებლად გადავრჩი, ღიმილით მიპასუხა მურთაზმა.

— რას გვეტყვით იუგოსლავიაში გამართულ პირველ მატჩებზე?

— „ჰაიდუკთან“ მატჩის წინ სულ სამჯერ ვივარჯიშეთ მინდორზე და, რა თქმა უნდა, შეხვედრის დროს შეპოჭილობას ვგრძნობდით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ჰაიდუკი“ უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. დანარჩენი მეტოქეები II ლიგის კოლექტივები იყვნენ და მათთან თამაშიც გაცილებით იოლი გახლდათ. საერთოდ, იუგოსლავიაში იგრძნობა, რომ პატივს სცემენ ტექნიკურ და არა ძალისმიერ, უხეშ ფეხბურთს.

— რა შთაბეჭდილება დატოვა მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენი ჯგუფის წევრებთან — სალვადორისა და მექსიკის გუნდებთან მატჩებმა?

— გულახდილად რომ გითხრათ, სალვადორელთა ნაკრები ერთ-ერთ ყველაზე სუსტ მეტოქედ მიმაჩნია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამ გუნდს საერთოდ არ უნდა გავუწიოთ ანგარიში. საერთოდ, ჩვენ — საბჭოთა ფეხბურთელები, პირველი მერცხლები ვიყავით (ვგულისხმობ სპორტსმენებს), რომლებიც სალვადორს ვეწვიეთ. ძალიან გულთბილად მიგვიღეს. თამაშის დღეს დილის 9 საათიდან 4 საათამდე სტადიონის ტრიბუნები გულშემატკივრებით იყო სავსე. ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი რამ არ მინახავს. შუადღისას გვინდოდა სტადიონი დაგვთვალიერებინა და გვევარჯიშა, მაგრამ შესვლა ვერ მოვახერხეთ. მატჩის მსვლელობის დროს მაყურებლები საოცრად ობიექტურად აფასებდნენ ბრძოლას.

მექსიკაში ჩასვლისთანავე საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა გაგვაფრთხილეს, ადგილობრივი ფეხბურთელები ძალისმიერი სტილის მიმდევრები არიან და თქვენთან მატჩში ამას კიდევ უფრო გაუსვამენ ხაზს, რათა ერთგვარი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინონ. თამაშის დროს დავრწმუნდით ამ სიტყვების სისწორეში. მასპინძლები ძალიან უხეშად გვეთამაშებოდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ მსაჯი (იგი პერუელი იყო) არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ გარემოებას და გათამამებული მასპინძლები ზოგჯერ აშკარა უხეშობასაც არ ერიდებოდნენ. მაყურებლებიც ერთობ მწვავედ განიცდიან თავისიანების ყოველ შეცდომას — ტრიბუნები ენით აუწერელი ყიჟინით ეხმაურებიან მინდორზე შექმნილ ვითარებას.

სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ჩემზე ცუდად იმოქმედა სიმაღლემ. ჩემი აზრით, მექსიკაში დროულად ჩასვლას და აკლიმატიზაციას დიდი მნიშვნელობა ექნება.

— რომელმა ფეხბურთელებმა დატოვეს თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— ორივე მეკარე (კავაზაშვილი, რუდაკოვი) გაცილებით მაღლა დგას ჩვენი მეტოქეების კარის დარაჯებზე. ძალიან მომეწონა ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელები ხაგარა (მცველი), კუნა (ნახევარმცველი) და ადამეცი (თავდამსხმელი). სრულიად განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ბრაზილიელმა ალბერტომ („ბოტაფოგო“). ეს ცენტრალური თავდამსხმელი შესანიშნავად ერკვევა სათამაშო სიტუაციებში, კარგად ირჩევს ადგილებს, ბრწყინვალედ გრძნობს კარს და აქვს ძლიერი დარტყმა. ჩემი აზრით, იგი ბრაზილიელთა გუნდის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე იქნება.

— სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე გვითხარით, როგორ გგონიათ, დაიბრუნებენ ბრაზილიელები მსოფლიო ჩემპიონობას?

— ბრაზილია ვერ დაიბრუნებს მსოფლიო ჩემპიონობას და ამას, ჩემი აზრით, თავისი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, ეს ქვეყანა მოხვდა ძალიან ძლიერ ჯგუფში, რომლის თითოეული წევრი ჩემპიონობას თუ არა, საპრიზო ადგილს მაინც უმიზნებს; მეორეც, ბრაზილიელთა გუნდში აღარ არიან ვარსკვლავები, რომლებმაც ორჯერ მოუტანეს დიდება ამ ქვეყნის ფეხბურთს. პელე და ორიოდეც სხვა შესანიშნავი ფეხბურთელი ამინდს ვერ შექმნიან. საერთოდ, მე რომ მკითხთო, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს მესამე ჯგუფიდან უნდა ველოდეთ.

— როგორია საბჭოთა ნაკრების შესაძლებლობები?

— ჩვენი ნაკრები საპრიზო სამეულის ღირსია, თუ რაიმე გაუთვალისწინებელმა შემთხვევითობამ არ შეგვიშალა ხელი.

— თქვენ ითამაშეთ მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთი მონაწილის — პერუს ნაკრების წინააღმდეგ. რას იტყვით ამ გუნდზე?

— ლიმაში ჩასვლისას ვიცოდით, რომ პერუელთა მწვრთნელს, ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს დიდის ნათქვამი ჰქონდა: დაცვაც ისეთი რომ მყავდეს, როგორიც თავდასხმა, მექიკაში ოქროს მედლების ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი ჩვენი გუნდი იქნებაო. ამ სიტყვების სისწორეში დავრწმუნდი, როცა მინდორზე პერუელ თავდამსხმელთა წინააღმდეგ მომიწია თამაში. არც ერთ მატჩში (სულ შკიდჯერ ვითამაშე) არ დამდგომია ამდენი ჯაფა. პერუელი თავდამსხმელები მაღალ ტემპში თამაშობენ, ამასთან, ძალიან ტექნიკურები არიან. რაც შეეხება დაცვას, ის მართლაც საგრძნობლად სუსტია.

— როგორ ითამაშეს საბჭოთა ფეხბურთელებმა?

— მეკარეებზე უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება მცველებსა და ნახევარმცველებს, ჩემი აზრით, მათ ძირითადად გაამართლეს ნაკრების მწვრთნელთა იმედები. რომელიმეს გამორჩევა მიჭირს. თავდამსხმელებმა კი სუსტად ითამაშეს. საკუთარ თავზე ძნელია ლაპარაკი, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ მატჩიდან მატჩამდე თანდათან შევდიოდი ფორმაში.

— თქვენს თბილისელ თანაგუნდელებზე რას იტყვით?

— შესანიშნავად ითამაშეს ძოძუაშვილმაც, ასათიანმაც და გივი ნოდიამაც.

— არის თუ არა ცვლილებები მოსალოდნელი ნაკრებში და ვარაუდობენ თუ არა გუნდში ქართველი ფეხბურთელების შეყვანას?

— მე მოგახსენებთ გავრიილ კაჩალინის აზრს, რომ ნაკრების კარი ღიაა ყველა ფეხბურთელისთვის, ვინც სეზონის დასაწყისში თავს გამოიჩენს, მაგრამ ძირითადი ბირთვი მაინც უცვლელი დარჩება. ქართველ ფეხბურთელთაგან ნაკრებში, პირველ ყოვლისა, მეტრეველის შეყვანაა მოსალოდნელი. მაგრამ ეს თვით ფეხბურთელზეა დამოკიდებული. მწვრთნელები ამბობენ, ჩვენის მხრივ მას დაბრკოლება არ შეხვდებაო.

— თქვენ გიყვართ მეტოქეთა კარის დაბომბვა, ღრმა რეიდები მათს საჯარიმო მოედანზე. ამ ტურნეში თუ სცადეთ ეს?

— ნაკრებში თამაშის დროს თითოეულს მკაცრად გვქონდა დაგეგმილი სამოქმედო ასპარეზი. და, კაცმა რომ თქვას, არც სათამაშო სიტუაცია იძლეოდა თავისუფლად მოქმედების საშუალებას.

— როგორც ჩანს, ტურნეთი კმაყოფილი ხართ...

— რა თქმა უნდა.

— თქვენი სამერმისო გეგმები?

— ვითამაშო სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩებში თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში, შემდეგ კი ნაკრებში, როგორც ამას საბჭოთა გუნდის ინტერესები მოითხოვს.

ა. მხეიძე.

„ინსპექტორი“

ფოდეგათა მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის დადგენილებით მიენიჭათ:

სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება — **საწყლოსათხილამურო სპორტში** — ო. ჩხეიძეს (თბილისის „სპარტაკი“); **ფარიკაობაში** — გ. ლომაძეს (ბათუმი, განათლების სამინისტრო); **ველოსპორტში** — ნ. გულიევს, ა. ხამუტოვს (ორივე — თბილისის „განთიადი“);

საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება — **ქართულ ჭიდაობაში** — თ. მუბაღიშვილს (თელავის „კოლმეურნე“), მ. კარიაულს (დუშეთის „სპარტაკი“), ზ. სიდამონიძეს, ს. ჯანორიძეს (ორივე — დუშეთის „კოლმეურნე“); **ლელობურთში** — გ. მენაბდეს (ბათუმის „ბურევესტნიკი“).

საერთაშორისო კატეგორიისა

ნ. ემუხვარი ამ 20 წლის წინ დაუბრუნდა სოხუმს ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ და ნიჩბოსანთა საზოგადოებრივ მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ ემუხვარის ხელმძღვანელობით ზღვაში სავარჯიშოდ 700-ზე მეტი ახალგაზრდა სპორტსმენი გავიდა. მათგან სამი ქვეყნის ჩემპიონი გახდა, 40-მა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. მის აღზრდილთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობათა პრიზიორები. ამჟამად ემუხვარი რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის მწვრთნელია და ამ საქმიანობასთან შესანიშნავად ათავსებს მსაჯობას.

სპორტით გატაცება ხელს როდი უშლის შემოქმედებით შრომაში. აფხაზეთის რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგს ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია. ამიტომაა, რომ იგი კოლეგებსა და ყოფილ პაციენტებს შორის დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს. ემუხვარი ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსანია, ორი წლის უკან კი იგი დაჯილდოვეს მედლით „შრომითი წარმატებისთვის“.

ამას წინათ ჟენევიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: ჩვენს თანამემამულეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ნიკოლოზ ემუხვარს საერთაშორისო შეჯიბრებებში საუკეთესო მსაჯობისთვის საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდება მიანიჭეს. აღსანიშნავია, რომ იგი ამ ტიტულის პირველი მსაჯია აფხაზეთში.

გ. პოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
სოხუმი.

ᲥᲔᲠᲚᲘ ᲥᲐᲜᲐᲚᲘ

● **პარიზი**, 5 მარტი. ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში IX-XII ადგილებისთვის მებრძოლმა გუნდებმა მორიგი მატჩები გამართეს. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 19:15 (8:5) დაამარცხა ინლანდიელები. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს: კლიმოვმა (6), პანოვმა (4), მაქსიმოვმა, ფხაკაძემ, კოჭუხოვმა (2-2), სოლომკომ, შაიუკმა და შევჩენკომ. იაპონიის ეროვნულმა გუნდმა სძლია საფრანგეთის ნაკრებს — 22:13 (13:7). ახლა 4-4 ქულით დაწინაურდნენ სსრ კავშირისა და იაპონიის ხელბურთელები, რომლებიც ამ დამამშვიდებელი ტურნირის მესამე წრეში შეხვდებიან ერთმანეთს.

● **ბუქარესტი**, 5 მარტი. მეორე კლასის ჰოკეისტთა მსოფლიო პირველობის გათამაშების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა 1 ადგილი გაინაღდა. მან 12 ქულა მოაგროვა და ახლა ვედარავინ დაეწევა. გაისად ამერიკელები უძლიერესთა ჯგუფში მსოფლიო ჩემპიონთა ტიტულისთვის იბრძოლებენ.

● **ბუდაპეშტი**, 5 მარტი. სოციალისტური ქვეყნების ჭაბუკ მოფარიკავეთა ყოველწლიურ ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელსაც ამიერიდან „მეგობრობა“ ეწოდება. წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა — რვიდან 5 პირველი ადგილი დაიკავეს. მათ გაიმარჯვეს გუნდურ შეჯიბრებაში ბოგოლეთა შორის, აგრეთვე, დაშნითა და ხმლით მოფარიკავეთა ტურნირებში. შეჯიბრების ჩემპიონები გახდნენ ნოვოსიბირსკელი ო. კოსტიკოვა და ლენინგრადელი ბ. ლუკომსკი (დაშნა). ორი გამარჯვება იზეიმეს უნგრელებმა, ერთი — პოლონელებმა. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირი, უნგრეთი, პოლონეთი, გდრ, რუმინეთი, უნგრეთი-2, ჩეხოსლოვაკია და კუბა.

• КОРДНА • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

16 ფიფა-ს სპეკ-ეხი

არგენტინელთა გამარჯვება

პორტუ-ალეგრე, 5 მარტი. ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებმა ამ ქალაქის სტადიონზე ამხანაგური მატჩი გამართეს არგენტინის ეროვნულ გუნდთან, მეორე ტაიმში ორი „მშრალი" ბურთი გაუშვეს და დამარცხდნენ. სპორტულ მიმომხილველთა აზრით, ეს ბრაზილიელთა ყველაზე სუსტი თამაშია. მას შემდეგ, რაც ნაკრებს ჟ. სალდანია ჩაუდგა სათავეში. ჟურნალისტებმა, რომელთაც მატჩი სატელევიზიო პროგრამაში გაარჩიეს, ყველა ბრაზილიელ ფეხბურთელს ორიანი დაუწერეს.

უკვე პირველ ტაიმში მასპინძლები სტუმრებს ჩამორჩებოდნენ სისწრაფეში, ხშირად აგებდნენ ბურთისთვის ბრძოლას. 67-ე წუთზე არგენტინელმა ადურგამ ბურთი „მოპარა" ბრაზილიელ ლოპესს და თავისი გუნდის თავდამსხმელ მასს გადასცა, რომელმაც ძლიერი დარტყმით გაიტანა გოლი. 4 წუთის შემდეგ ისტორია განმეორდა: არგენტინელმა კომილიარომ ედუს ჩამოართვა ბურთი და მეორე გოლი გაიტანა.

დარჩენილ დროში ბრაზილიელები ხშირად გადადიოდნენ იერიშზე, მაგრამ უშედეგოდ.

მწვავე შეხვედრები

4 მარტი ევროპის ფეხბურთის კალენდარში საინტერესო დღე იყო: მეოთხედფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის პრეტენდენტები.

ჩემპიონთა თასზე

„ლიდს იუნაიტედმა" (ინგლისი) ბრიუსელში დაამარცხა ლიეჟის „სტანდარდი" — 1:0. „სელტიკმა" (შოტლანდია) გლაზგოში მოუგო იტალიის „ფიორენტინას" — 3:0. ბერლინში გდრ-ის ჩემპიონმა „ფორვერტსმა" გაიმარჯვა ჰოლანდიის „ფეიენორდთან" შეხვედრაში — 1:0.

თასების მფლობელთა თასზე

სოფიის „ლევსკიმ" შინ დაამარცხა პოლონეთის „გურნიკი" (ზაბჟე) — 3:2; „რომამ" (რომი) — თურქეთის „გეზთეფე" (იზმირი)— 2:0. ზაგრების „დინამომ" წააგო „შალკე 04"-თან (გფრ) — 1:3.

მოსკოველთა ფრე

სიდნეი, 4 მარტი. მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელებისთვის, რომლებიც ავსტრალიაში გამოდიან, ახალი სამხრეთ უელსის შტატის ნაკრები იოლი მეტოქე არ გამოდგა. დინამოელებმა ფრედ ითამაშეს (3:3), ამასთან, პირველ ტაიმში წინ მასპინძლები იყვნენ — 1:0.

საინტერესო შემოქმედი

საეტიუდო ხელოვნებაში დიდოსტატისა და მსოფლიო ჩემპიონის წოდებები არავის დაუწესებია, მაგრამ საჭადრაკო სამყარომ ეს ტიტულები ჭერნიხ კასპარიანს მიანიჭა.

ვისაც ამ დიდი შემოქმედის ეტიუდები გაურჩევია, არ შეიძლება აღტაცებული არ დარჩენილიყო. კასპარიანი დახვეწილი ხელოვნებით თხზავს ღრმად იდეურ კომპოზიციებს. მისი ჩანაფიქრი მხოლოდ ვირტუოზული, ტექნიკურად ეტიუდური სვლებით ამოიკითხება.

აი, ბრწყინვალე ეტიუდი, რომელმაც 1948 წელს კასპარიანს სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოუტანა.



თეთრები იგებენ

1. ♗g7 (ყაიმია 1. h7 ♘e6+ 2. ♔f3 ♘h6 შემდეგ) **1. ... ♘:h6** (კუს შეწირვით შავები კონტრთამაშს ღებულობენ თეთრი მხედრის უხეირო მდებარეობის გამო) **2. ♘c5+ ♔d4 3. ♘c4+ ♔e5 4. ♘:c7 ♔f6 5. ♗e8+ ♔f7 6. ♘c8** (თეთრებმა დაიცვეს მხედარი, მაგრამ იგი ცუდად გრძნობს თავს e8 უჯრაზე. შავები ამით მყისვე სარგებლობენ) **6. ... ♘e6+ 7. ♔d1!** (უბრწყინვალესი სვლა. მისი საიდუმლოება გვიან გამოჩნდება) **7. ... ♘g6 8. ♗c7! ♘e6 9. ♔d2!** (თეთრებს 7. ♔d2 რომ ეთამაშათ, მაშინ შავები უპასუხებდნენ 7. ... ♘g6 8. ♗c7 ♘e6 და, რაკი თეთრების სვლაა, მათ არ შეეძლებოდათ 9. d4 ♘c4 10. d5 ♔g6. ყაიმი. ახლა შავები ცუგცუანგში არიან) **9. ... ♘c5 10. ♘f8+!** და თეთრები იგებენ.

კასპარიანი კიდევ სამჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი. მას მინიჭებული აქვს სპორტის დამსახურებული ოსტატის, საერთაშორისო ოსტატის წოდებები ჭადრაკში და საჭადრაკო კომპოზიციაში, და სხვა ტიტულები: კასპარიანმა ხუთჯერ ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში და ბევრი გამოჩენილი მოჭადრაკე დაამარცხა.

დიდი ეტიუდისტის უჩვეულო ნიჭის სრულყოფა და განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველ მოჭადრაკეებთან შემოქმედებითს მეგობრობასთან. კასპარიანი დაიბადა თბილისში (1910 წლის 27 თებერვალს), სადაც კიდევ ეზიარა ჭადრაკს და თვალსაჩინო წარმატებებიც მოიპოვა (სამჯერ იყო თბილისის ჩემპიონი).

„1926 წელს მონაწილეობა მივიღე გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციისა და საქართველოს პროფკავშირების მიერ გამართულ 600-კაციან მასობრივ ტურნირში, — იხსენებს კასპარიანი. — პირველი პარტია წავაგე და სტარტზეევ შეჯიბრებიდან გამოთიშვის საშიშროების წინაშე აღმოვჩნდი. მაგრამ ტურნირს მაინც შევრჩი ბოლომდე, ფინალშიც გავედი და იქ პირველი ადგილი დავიკავე. აქედან დაიწყო ჭადრაკით ჩემი გატაცება".

იმავე პერიოდში კასპარიანი კომპოზიციით დაინტერესდა. „ეტიუდებისადმი სიყვარული ერთბაშად არ გამღვიძებია. ჯერ ამოცანების შედგენამ გამიტაცა, — წერს კასპარიანი. — პირველი ეტიუდი 1928 წელს შევადგინე და საქართველოს I ჩემპიონატის მონაწილეებს ვუძღვენი. იგი გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ" გამოაქვეყნა. 1929 წლიდან ეტიუდმა მოლიანად მიიზიდა ჩემი ყურადღება".

თბილისურ გაზეთებში იმ დროს და მერეც ხშირად იბეჭდებოდა ნიჭიერი ეტიუდისტის ნაწარმოებები. მისმა კომპოზიციებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველოში საეტიუდო ხელოვნების პოპულარიზაციაში.

1931 წელს კასპარიანმა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი დაამთავრა და კარგა ხანს თბილისის საპროექტო ორგანიზაციებში მუშაობდა.

1936 წლიდან კასპარიანი ერევანში დასახლდა, მაგრამ შემდეგ კიდევ ორჯერ ხანგრძლივად ცხოვრობდა თბილისში და აქტიურად მონაწილეობდა ნორჩ მოჭადრაკეთა აღზრდაში. სწორედ ამ დროს მან ვ. გოგლიძესთან ერთად ქართულ ენაზე გამოსცა მონოგრაფია — „მსოფლიო ჩემპიონების 100 კომბინაცია".

ჭ. კასპარიანი 60 წლისა შესრულდა. ამ ღირსსასხოვარ დღეს სასახელო მოჭადრაკეს და ეტიუდისტს მისი ქართველი კოლეგები ყოველივე სიკეთეს ვუსურვებთ.

თ. ბიორბაძე.

ძლიერი შემადგენლობა

უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციამ გამოაქვეყნა ცნობა დებრეცენის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის შესახებ (5-24 ივლისი), რომელმაც ძლიერი შემადგენლობა უნდა შეკრიბოს. ტურნირი ფიდე-ს უმაღლესი კატეგორიისა იქნება.

ორგანიზატორები მოელიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს მ. ტალსა და ვ. სმისლოვს, ვ. კორჩნოის, ლ. პოლუგაევსკის, ვ. უღმანს (გდრ), მ. ბობოცოვს (ბულგარეთი), მ. ფილიპს (ჩეხოსლოვაკია).

ტურნირში, ცხადია, უნგრელი დიდოსტატებიც გამოვლენ. ესენი არიან: ლ. პორტიში, ლ. საბო, გ. ბარცა, ლ. ბარცაი, ი. ბილეკი, ლ. ლენდიელი, ქვეყნის ახლანდელი ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ბ. დელი, ცნობილი საერთაშორისო ოსტატი გ. ფორინტოში და სხვ.

ფიშერს კვლავ ელიან

ზაგრების გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი" იუწყება, რომ სექტემბერში ვინკოვცში (იუგოსლავია) ეწყობა დიდოსტატთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი და რ. ფიშერი. სხვათა შორის, ასეთ ტურნირში ფიშერმა 1968 წელს ითამაშა.

იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციის მდივანმა, საერთაშორისო ოსტატმა რ. მარიჩმა განაცხადა, რომ ფედერაცია სპეციალურად იმსჯელებს იმის თაობაზე, თუ ვინ ითამაშებს ვინკოვცის ტურნირში იუგოსლავიელი დიდოსტატებიდან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ქალთა XV-ტრადიციული სპარტაკიადა. **დღეს:** მაგიდის ჩოგბურთი. თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის დარბაზი. დასაწყისი 18 ს. ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. 18 ს. ფრენბურთი. პლასტმასის ქარხნის სპორტდარბაზი. 16 ს. ბადმინტონი. 26 კომისრის რაიონის სპორტდარბაზი. 18 ს. ფარიკაობა. კიროვის სახელობის პარკი. 16 ს.

წყალბურთი. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საცურაო აუზი. **დღეს:** ქალაქის პირველობა. დასაწყისი 19 ს. 30 წ.

პელეს მე-1000 გოლის აღსანიშნავად

საფოსტო ნიშანი, რომელიც ბრაზილიის კავშირგაბმულობის სამინისტრომ სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელის პელეს მე-1000 გოლის პატივსაცემად გამოუშვა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

△ **მელბურნი.** 80 მეტრზე თარჯრბენში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა მ. კეირდმა აქ 100 მეტრზე თარჯრბენში ისპარეზა და 13,2 წამი აჩვენა.

△ **ლაჰორი (პაკისტანი).** ბურთიანი ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა სპორტის ამ სახეობაში I მსოფლიო ჩემპიონატი გაიხადოს თებერვალში ჩაატაროს ამ ქალაქში.

△ **რომი.** იტალიაში ენერგიულად ებრძვიან სპორტსმენთა მიერ დოპინგის გამოყენებას. მარტო შარშან მოულოდნელად 1483-ჯერ ჩაატარეს პროფესიონალ ველოსიპედისტთა შემოწმება და 32 შემთხვევაში — შედეგიანად. აღმგზნებ საშუალებათა გამოყენებაში შემჩნეულნი სასტიკად დაისაჯნენ.

კიდევ ორი ტური

ფოთი, 6 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაში გათამაშდა კიდევ ორი (IX, X) ტური. გთავაზობთ ამ ტურების შედეგებს:

IX **ტური.** გედევანიშვილი — იზვოზჩიკოვი 0,5:0,5, ჯინჯიხაშვილი— ტალი 0,5:0,5, გურგენიძე — ჩეჩელიანი გადაიდო, ბუსლაევი — მიქაძე 0:1, ნეურონოვი — გიორგაძე 0:1, ჯანოევი — ჩიქოვანი 0:1, ბოკუჩავა — ლევინი 1:0. ისვენებდა უბილავა.

X **ტური.** იზვოზჩიკოვი — ნეურონოვი 1:0, ტალი — გედევანიშვილი 1:0, უბილავა — ბუსლაევი 1:0. გადაიდო პარტიები: ჩეჩელიანი— ჯინჯიხაშვილი, მიქაძე — გურგენიძე, გიორგაძე — ჯანოევი და ჩიქოვანი — ბოკუჩავა. ისვენებდა ლევინი.

ტალმა გადადებული პარტია მოუგო გიორგაძეს, უბილავამ — ჩეჩელიანს.

გურგენიძეს ორივე გადადებულ პარტიაში საგრძნობი პოზიციური უპირატესობა აქვს. კარგად ითამაშა ჩეჩელიანმა ჯინჯიხაშვილის წინააღმდეგ. შეუწყვეტილ პოზიციაში მისი უპირატესობა ეჭვს არ იწვევს.

გიორგაძე — ჯანოევისა და ჩიქოვან — ბოკუჩავას პარტიები თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო.

10 ტურის შემდეგ რ. ჯინჯიხაშვილს 6,5 ქულა, 1 გამოტოვებული და 1 გადადებული პარტია აქვს, მ. ტალს — 6 ქულა, ბ. გურგენიძეს — 5,5 (4), ვ. უბილავას — 5,5 (1 გადადებული, 1 გამოტოვებული პარტია), ბ. ბუსლაევს — 5,5, ს. ჩეჩელიანს—4,5 (2).

ი. ლოლუა,
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ᲥᲐᲠᲚᲘ ᲥᲐᲖᲔᲑᲘ

● **ნოვოზოლსკოვსკი, 5 მარტი.** ადგილობრივ აუზში გამართულ ზონალურ ტურნირში მოსკოველმა ა. ალმსონოვმა 200 მ თავისუფალი სტილით 2 წუთსა და 0,3 წამში გაცურა, რაც 25-მეტრიანი აუზებისთვის ჩაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდია.

● **ცესისი, 5 მარტი.** აქ ჩატარდა მოციგავეთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, ტოლიატის, ერევნის, კიროვაკანისა და ლატვიის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. 750-მეტრიან ტრასაზე 9 ვირაჟი იყო მოწყობილი. ქალთა ტურნირი ერთადგილიანებით მოიგო მასპინძელმა ვ. მილერმ, რომელმაც 3 ცდიდან 2 საუკეთესოს ჯამში 1.33,0 აჩვენა. ვაჟებს 4-4 ცდის უფლება ქონდათ და ჩათვლაში სამი ცდის შედეგი შედიოდა. გიმარჯვა 17 წლის მოსკოველმა ვ. შიტოვმა — 2 15,9. ორადგილიანებით ტურნირში ყველას აჯობეს ლატვიელებმა რ. უპატნიეკსმა და ო. ანდერსონსმა—1.32,0.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 УЦ 04177